დამტკიცებულია შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს

დირექტორის თ. სურმავა

2025 წლის 27 მარტის №42 ბრძანებით

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

თბილისი

2025

მუხლი 1. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესის რეგულირების სფერო

1. აღნიშნული დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს შპს ,,კოლეჯი - მესამე სამედიცინო“-ს (შემდგომ - კოლეჯი) მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი) - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი - კოლეჯი;

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

მონაცემთა მიმღები – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა;

მესამე პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით;

მონაცემთა დაბლოკვა – მონაცემთა დამუშავების (გარდა შენახვისა) დროებით შეჩერება;

ვიდეომონიტორინგი – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

ინციდენტი – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

მომხმარებელი - კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, ვინც სარგებლობს კოლეჯის მომსახურებით.

2. ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული ამავე მუხლის პირველი პუნქტით, განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნები

კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანია კოლეჯში დასაქმებულთა, მომხმარებელთა და ვიზიტორთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, არასრულწლოვანის დაცვა მავნე ზეგავლენისგან, ასევე, კოლეჯის სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულება, რომელთა მიღწევა სხვა ალტერნატიული საშუალებებით ვერ განხორციელდება ან/და იგი კოლეჯისაგან მოითხოვს არაპროპორციულ ხარჯებს/ძალისხმევას. კოლეჯის ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს მომხმარებლებში კოლეჯის საქმიანი რეპუტაციისა და იმიჯის დაცვა და სხვა ნებისმიერი გარემოება, რომლიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს, რომ

კონკრეტული საკითხი თუ გარემოება, მნიშვნელოვანია კოლეჯის რეპუტაციისთვის და აღნიშნული ინტერესი წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის, არ იწვევს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას.

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის განხორციელების საფუძველი

1. კოლეჯში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე და ამავე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

2. გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულისა, ვიდეომონიტორინგის განხორციელების საფუძველია კოლეჯის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების შესაბამისად) დაკისრებული მოვალეობების შესრულება, რაც გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის ფარგლები

1. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობების გარე და შიდა პერიმეტრზე.

2. ვიდეოკამერები განთავსებულია კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობის (მის: თბილისი, წერეთლის გამზ. 142) შემოსასვლელში, დერეფნებში და საევაკუაციო გასასვლელში.

3. ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება, საპირფარეშოებში, სამუშაო ოთახებში, ლაბორატორიებში და ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

4. კოლეჯში, ვიდეომონიტორინგის პარალელურად, აუდიომონიტორინგი არ ხორციელდება.

მუხლი 6. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა, ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა და წაშლის წესი

1. ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტად (24 საათიანი), ვიდეომონიტორინგის სისტემის საშუალებით.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერები ინახება 30 დღის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტურად დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად, შეუძლებელი ხდება კონკრეტული პერიოდის ჩანაწერის შენარჩუნება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე, ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად, ახალი ჩანაწერის გადაწერის გზით, თუ არ არსებობს მისი დაარქივების (შემდგომი შენახვის) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი და საფუძველი.

მუხლი 7. ვიდეომონიტორინგის სისტემის ადმინისტრირება და ტექნიკური მხარდაჭერა

1. ვიდეომონიტორინგის სისტემის ადმინისტრირებასა და მის გამართულ ფუნქციონირებაზე (რათა, უზრუნველყოფილი იყოს ვიდეომონიტორინგის უწყვეტი და სრულყოფილი პროცესი), პასუხისმგებელია კოლეჯის IT მენეჯერი.

2. ვიდეომონიტორინგის სისტემის/ვიდეოკამერების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, კოლეჯის IT მენეჯერი.იღებს შესაბამის ზომებს. იგი უზრუნველყოფს შეფერხების დროულად აღმოფხვრასა და დაზიანებული მოწყობილობის შეკეთებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოწყობილობის დაზიანების ხარისხიდან და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, განსახორციელებელი ოპერაციები მოითხოვს ობიექტურად გონივრულ ვადას.

3. საჭიროების შემთხვევებში, ვიდეომონიტორინგის სისტემის/ვიდეოკამერების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით მიმართოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციას ან/და სპეციალისტს.

4. ვიდეომინიტორინგის სისტემის მიერ ხორციელდება სისტემაში განხორციელებული ყველა მოქმედების აღრიცხვა, ე.წ. ლოგირება.

5. ვიდეომონიტორინგის სისტემის მიერ ვიდეოჩანაწერების შენახვაზე, წაშლაზე, ვიდეომონიტორინგის პროცესში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების აღრიცხვასა და ვიდეომონიტორინგის პროცესში ინფორმაციული უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის IT მენეჯერი.

მუხლი 8. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლება

ვიდეომონიტორინგის შედეგად გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, ჩანაწერებზე წვდომის უფლება, ინიდივიდუალური და განპიროვნებული მომხმარებლის სახელით და პაროლით, გააჩნიათ:

- კოლეჯის დირექტორის მოადგილეს - მიმდინარე რეჟიმში ყურებისა და გადახვევის ნაწილში;
- კოლეჯის IT მენეჯერს- სრული წვდომის (მიმდინარე რეჟიმში ყურება, დათვალიერება, შენახვა, წაშლა) უფლებით.

მუხლი 9. ვიდეომონიტორინგის პროცესი, ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები და უსაფრთხოების ზომები

1. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული სუბიექტების მონაწილეობით, ამავე მუხლით განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად.

2. ვიდეოკამერების მიერ მიმდინარე რეჟიმში გადაცემულ გამოსახულებაზე წვდომის უფლება აქვს დირექტორის მოადგილეს, რომელსაც დაშვება აქვს ვიდეომეთვალყურეობის სისტემასთან და შესაძლებლობა აქვს განახორციელოს 24 საათიანი მეთვალყურეობას.

3. კომპიუტერი და მასში არსებული ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომისათვის აუცილებელი ელექტრონული საშუალებები დაცულია შესაბამისი პაროლებით.

4. კოლეჯის IT მენეჯერი პასუხისმგებელია ვიდეომონიტორინგის სისტემის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე. მისი მხრიდან უსაფრთხოების იმგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ გამოირიცხოს ვიდეომონიტორინგის სისტემასთან არაუფლებამოსილი პირების დაშვება.

8. კოლეჯის IT მენეჯერის მიერ პერიოდულად, არანაკლებ 30 დღეში ერთხელ, ხორციელდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემის/კამერების შემოწმება, შესაძლო ტექნიკური შეფერხებების გამოვლენის მიზნით. მწყობრიდან გამოსული მოწყობილობები/შეფერხების არსებობის ფაქტი აღირიცხება ამ წესის დანართი №1-ის სახით.

მუხლი 10. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი გადაცემის საფუძვლები და ამ ინფორმაციის აღრიცხვის წესი

1. კოლეჯი მონაცემთა სუბიექტის, სამართალდამცავი და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებას ახორციელებს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით. დაუშვებელია ხსენებული პირებისათვის ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, ასევე, ვიდეოჩანაწერების დათვალიერების უფლების მინიჭება (მათ შორის, ხსენებული პირების მიერ ვიდეოჩანაწერზე არსებული გამოსახულების კონკრეტული მონაკვეთის ფოტოგადაღება ან/და ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონის ან სხვა ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით), ასევე, მათთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

2. მონაცემთა სუბიექტისთვის ვიდეოჩანაწერის გადაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რა დროსაც, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პირობები.

3. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ვიდეოჩანაწერის გადაცემა ან დათვალიერების უფლების მინიჭება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საგამოძიებო მოქმედებ(ებ)ის ჩატარების ფარგლებში, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან სასამართლოს განჩინების, პროკურორის დადგენილების წარდგენის საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია ვიდეოჩანაწერის გამოთხოვის ან/და მისი დათვალიერების თაობაზე. დაუშვებელია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის იმ პერიოდის ჩანაწერების დათვალიერების ან გადახვევის უფლების მინიჭება, რომელიც არ არის მითითებული კოლეჯისათვის წარდგენილ სასამართლო განჩინებაში ან პროკურორის დადგენილებაში.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ფარგლებში, სამართალდამცავი ან სხვა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემა ან დათვალიერების უფლების მინიჭება დასაშვებია მხოლოდ ამ ორგანოს მიერ წარმოდგენილი ოფიციალური წერილობითი მომართვის საფუძველზე. აღნიშნული მომართვა უნდა შეიცავდეს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და ინფორმაციას ვიდეოჩანაწერის გამოთხოვის სამართლებრივი

საფუძვლებისა და მიზნების, ასევე, იმ კონკრეტული პერიოდის შესახებ, რომელსაც უნდა მოიცავდეს ვიდეოჩანაწერი.

5. ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად, ვიდეოჩანაწერების გაცემის თაობაზე წერილობითი განცხადების/შეტყობინების მიმღებია კოლეჯის დირექტორი, რომლის მითითების შესაბამისადაც კოლეჯის IT მენეჯერი ახორციელებს ვიდეოჩანაწერებიდან კონკრეტული მონაკვეთის ამოღებასა და შესაბამის ტექნიკურ საშუალებაზე განთავსებასა და მოთხოვნის ავტორისთვის გადაცემას.

6. კოლეჯის თანამშრომლის მიერ მნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, საკითხის შემდგომი შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, თუ კოლეჯის ლეგიტიმური მიზნების სხვა საშუალებებით მიღწევა შეუძლებელია, რადგან კონკრეტული ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან და თვალსაჩინო მტკიცებულებას, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს კოლეჯის IT მენეჯერს ამოიღოს კონკრეტული ჩანაწერი, კოლეჯის მიერ მისი მტკიცებულებად გამოყენების მიზნით.[1] [2]

7. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კოლეჯის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესებისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოებისა და მნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომის აღმოჩენის, ან აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იმისათვის, რომ არ მოხდეს მტკიცებულების წაშლა/განადგურება, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს კოლეჯის IT მენეჯერის ვიდეომონიტორინგის სისტემიდან ამოიღოს კონკრეტული ჩანაწერი და გადასცეს კოლეჯის დირექტორს შემდგომი სამართლებრივი საფუძვლით დამუშავებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

---

[1] "The use of CCTV in the workplace can be contentious and it is not generally considered to be an appropriate tool to monitor staff attendance or performance. However, situations can arise where an employer needs to use CCTV footage for a purpose other than one identified at the outset such as to investigate an allegation of gross misconduct or other disciplinary matter. This may be legitimate where it is carried out strictly on a case-by-case basis, and is justified based on necessity and proportionality to achieve the given purpose. The employer must be able to demonstrate why the use of CCTV is necessary to provide evidence in a disciplinary matter, and that their access of CCTV footage is proportionate and limited in scope to the investigation of a particular matter. In such cases, the rights of the employee and their expectation of privacy will not be seen as overriding the interests of the employer, and the employee's data protection rights should not be seen as presenting a barrier to the investigation of serious incidents." **Guidance on the Use of CCTV – For Data Controllers**, page 15, Data Protection Commission, Ireland, 2023.

[2] რეკომენდაციები ვიდეომონიტორინგის და აუდიომონიტორინგის განხორციელების თაობაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024, გვ. 6.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები ინახება კოლეჯის დირექტორის მიერ, მის სამუშაო სივრცეში არსებული კომპიუტერის დაცულ საქაღალდეში, იმგვარად რომ გამოირიცხოს ჩანაწერებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომა. მითითებული ვადების გასვლის შემდეგ, კოლეჯის დირექტორის მიერ ხდება ჩანაწერების მანუალურად წაშლა, თუ არ არსებობს მათი შენახვის სხვა სამართლებრივი საფუძველი.

9. კოლეჯის დირექტორი ამ წესის №2 დანართის შესაბამისად აღრიცხავს დაარქივებული ჩანაწერების შესახებ ინფორმაციას.

10. ამ მუხლით დადგენილი ვიდეოჩანაწერების გამჟღავნების თითოეული შემთხვევა აღირიცხება კოლეჯის IT მენეჯერის მიერ ამ წესის №3 დანართით განსაზღვრული სპეციალური ფორმის გამოყენებით.

მუხლი 11. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია, ისარგებლოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული უფლებებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამავე კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძველი. ასეთი საფუძვლის არსებობისას, მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვასა და განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის ზემოაღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის (მიზნების) მიღწევას.

2. მონაცემთა სუბიექტს გარანტირებული აქვს კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა - მას შეუძლია მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს კონსულტაციისთვის და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე (https://medicalschool-3.edu.ge/).

3. სხვა უფლებებთან ერთად, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, კოლეჯისაგან მოითხოვოს იმ ვიდეოჩანაწერის ასლის გადაცემა, რომელშიც იგი თავადაა ასახული. ასეთ დროს, მას ვიდეოჩანაწერი არ უნდა გადაეცეს მანამ, სანამ კოლეჯი არ დარწმუნდება, რომ მოთხოვნის ავტორი ნამდვილად მონაცემთა სუბიექტია. კოლეჯმა ასევე, უნდა გაითვალისწინოს ამ ჩანაწერებზე ასახული მესამე პირების ინტერესები და

ჩანაწერი გასცეს იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად შეამციროს მესამე პირთა იდენტიფიცირების საშუალება (მაგალითად, ჩანაწერში მესამე პირთა გამოსახულების ტექნიკური საშუალებებით დაფარვის გზით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩანაწერში მესამე პირების იდენტიფიცირება განპირობებულია ობიექტური საჭიროებით.

4. ვიდეომონიტორინგის/ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნ(ებ)ის თაობაზე კოლეჯის იმ თანამშრომელთა წერილობითი ფორმით გაფრთხილება, რომელთა უშუალო სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგიც ხორციელდება, სავალდებულოა. აღნიშნულ თანამშრომელთა ინფორმირება ხორციელდება წერილობითი ფორმით, ამ წესის მე-4 დანართის სახით.

5. კოლეჯში დასაქმებული სხვა პირების, მომხმარებლების, ვიზიტორებისა და ვიდეომონიტორინგის არეალში მოხვედრილი სხვა პირების ინფორმირება კოლეჯში ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ, ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი ნიშნებით ხორციელდება.

მუხლი 12. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი

კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობების შიდა პერიმეტრზე, კერძოდ, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად:

2. ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ადგილებზე, თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები.

3. 2024 წლის პირველი მარტიდან განთავსებული ვიდეომონიტორინგის გამაფრთხილებელი ნიშნები (გარდა საგამოცდო აუდიტორიაში განთავსებული ნიშნებისა) უნდა შეიცავდეს შემდეგ მითითებებს:

ა) „მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი“;

ბ) „მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხიმგებელი პირი - შპს ,,კოლეჯი მესამე სამედიცინო“;

გ) ტელეფონი: 599250955; ელ. ფოსტის მისამართი: medicalschool3@gmail.com.

დანართი N1 ვიდეომეთვალყურეობის სისტემის/კამერების შემოწმების ფორმა						
N						

	თარიღი	ვიდეო მოწყობილობის მდებარეობა	მოწყობილობის განახლების თარიღი	მოწყობილობების/კამერების მდგომარეობა	შენიშვნა	მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი

დანართი N2 (ვიდეოჩანაწერის დაარქივების ფორმა)

N	ჩანაწერის დაარქივების საფუძველი	ჩანაწერის დაარქივების საფუძვლის აღმოჩენის/მიღების თარიღი	ჩანაწერის დაარქივების მიზანი	დაარქივებული ჩანაწერის კამერის მდებარეობა	დაარქივებული ჩანაწერის პერიოდი	დაარქივებული ჩანაწერის შენახვის ადგილი	დაარქივებული ჩანაწერის გაცემის თარიღი და საფუძველი	დაარქივებული ჩანაწერის მიმღები პირი/სტრუქტურული ერთეული	დაარქივებული ჩანაწერის წაშლის თარიღი	დამატებითი კომენტარი

დანართი N3 (ვიდეოჩანაწერებზე წვდომის/გაცემის აღრიცხვის ფორმა)

N	მოთხოვნის შემოსვლის თარიღი	ვიდეოჩანაწერის მომთხოვნი პირის/ორგანოს კატეგორია (1. მონაცემთა სუბიექტი; 2. სამართალდამცავი ორგანო; 3. სხვა ადმინისტრაციული ორგანო)	ვიდეოჩანაწერის მომთხოვნი პირის/ორგანოს დასახელება	მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი	მოთხოვნილი ჩანაწერის კამერის მდებარეობა	მოთხოვნილი ჩანაწერის პერიოდი	მოთხოვნილი წვდომის ტიპი (1. პირდაპირ ეთერზე წვდომა; 2. ჩანაწერის ნახვა; 3. ჩანაწერის ამოღება)	მოთხოვნაზე რეაგირება (1. დაკმაყოფილდა; 2. არ დაკმაყოფილდა)	მოთხოვნაზე რეაგირების თარიღი	დამატებითი კომენტარი

დანართი №4

თანამშრომელთა ინფორმირების ფორმა

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს შპს ,,კოლეჯი - მესამე სამედიცინო“-ს (შემდგომში - კოლეჯი) თანამშრომელთა ინფორმირება სამუშაო ადგილზე ვიდეომონიტორინგის (კოლეჯის მფლობელობაში არსებულ შენობაში/ტერიტორიაზე ვიდეომონიტორინგის განხორციელების) და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება მესამე პირებისთვის.

1. ვიდეომონიტორინგის ფარგლები

ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე.

ვიდეოკამერები განთავსებულია კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობის შემოსასვლელში, დერეფნებში და საევაკუაციო გასასვლელში.

ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება, აუდიტორიებში, საპირფარეშოებში, სამუშაო ოთახებში, ლაბორატორიებში და ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

კოლეჯში, ვიდეომონიტორინგის პარალელურად, აუდიომონიტორინგი არ ხორციელდება.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნები

გაცნობებთ, რომ კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანია კოლეჯში დასაქმებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და ვიზიტორთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, არასრულწლოვანის დაცვა მავნე ზეგავლენისგან, ასევე, კოლეჯის სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულება, რომელთა მიღწევა სხვა ალტერნატიული საშუალებებით ვერ განხორციელდება ან/და იგი კოლეჯისაგან მოითხოვს არაპროპორციულ ხარჯებს/ძალისხმევას. კოლეჯის ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს მომხმარებლებში კოლეჯის საქმიანი რეპუტაციისა და იმიჯის დაცვა და სხვა ნებისმიერი გარემოება, რომლიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს, რომ კონკრეტული საკითხი თუ გარემოება, მნიშვნელოვანია კოლეჯის რეპუტაციისთვის და აღნიშნული ინტერესი წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის, არ იწვევს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას.

3. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა, ჩანაწერების შენახვის ვადა და წაშლის წესი

გაცნობებთ, რომ ვიდეომონიტორინგის სისტემის საშუალებით, უწყვეტად მიმდინარეობს (24 საათიანი) ვიდეომონიტორინგი. ამასთან, ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად

მიღებული ვიდეოჩანაწერები ინახება არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადით, ხოლო აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე, ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად, ახალი ჩანაწერის გადაწერის გზით, თუ არ არსებობს მისი დაარქივების (შემდგომი შენახვის) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი და საფუძველი.

4. თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებები

თქვენ, როგორც კოლეჯის თანამშრომელსა და მონაცემთა სუბიექტს, კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, თქვენი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, შეგიძლიათ, შეუზღუდავად გამოიყენოთ უფლების დაცვის როგორც კოლეჯში არსებული მექანიზმები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით) გათვალისწინებული ყველა სხვა საშუალება.

თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტების უფლებები გარანტირებულია შპს ,,კოლეჯი - მესამე სამედიცინო“-ს ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესის მე-11 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული უფლებების რეალიზებას, თუ არ არსებობს ამავე კანონით გათვალისწინებული შემზღუდავი გარემოება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ გარანტირებული გაქვთ კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს თქვენს შესაძლებლობას, მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს კონსულტაციისთვის და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერია შპს ,,მონაცემთა დაცვის გუნდი“, info@dpt.ge

წინამდებარე ინფორმირების წესზე ხელმოწერით ადასტურებთ, რომ გაეცანით შრომით-სამართლებრივი ურთიერთობისას ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესს, მათ შორის, თქვენთვის ცნობილია ინფორმაცია ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნების თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვები არ გაგაჩნიათ.

დასაქმებული

სახელი, გვარი _____

ხელმოწერა _____

თარიღი _____

პოზიცია _____